პროფესორ ლამარა ქოქიაურის სახელმძღვანელოს „საინვესტიციო მენეჯმენტი და პოლიტიკა“ და მონოგრაფიის „ინტელექტუალური კაპიტალი“ პრეზენტაცია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, საერთაშორისო ჟურნალის „სოციალური ეკონომიკის” სარედაქციო კოლეგიის, საქართველოს ეკონომისტთა ასოციაციის, არასამთავრობო ორგანიზაციის „ფინანსური და საინვესტიციო სტრატეგიის და პოლიტიკის ფონდის”, შპს ინგლისური ენის სკოლა ნინოს ერთობლივი ძალებით 2013 წლის 4 მარტს ჩატარდა სტუ სრული პროფესორის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, ქალბატონ ლამარა ქოქიაურის შრომების „საინვესტიციო მენეჯმენტი და პოლიტიკა” (სახელმძღვანელო, 2012 მეორე გამოცემა) და „ინტელექტუალური კაპიტალი” (მონოგრაფია 2013) პრეზენტაცია.

მომხსენებელი: **ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იაკობ მესხია.**

მომხსენებელმა მოკლედ მოახსენა დამსწრეებს ქალბატონ ლამარა ქოქიაურის შრომითი და სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის შესახებ. აღნიშნა, რომ ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად მუშაობდა საქართველოს ეროვნულ ბანკში. თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსებისა და კრედიტის კათედრაზე მუშაობდა თითქმის სამი ათეული წელი. მისი საკანდიდატო დისერტაციის ხელმძღვანელი იყო დიდი ქართველი ფინანსისტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ამავე კათედრის გამგე, ბატონი ვასილ ჩანტლაძე;

ბატონი ვასილის ხელმძღვანმელობითვე შეარჩია ქალბატონმა ლამარა ქოქიაურმა სადოქტორო დისერტაციის თემაც - „ინვესტიციის ბაზრის ფორმირება და განვითარება საქართველოში”. ამ წლებიდან მოყოლებული ამ ქალბატონის სამეცნიერო კვლევების ძირითადი ხაზი იყო და დარჩა უაღრესად პოპულარული თემა - ინვესტიციები

და ინვესტირება.

ძალზედ მდიდარი და ნაყოფიერია პროფესორ ლამარა ქოქიაურის სამეცნიერო საქმიანობა. დღემდე მას გამოქვეყნებული აქვს 200-მდე ნაშრომი, მათ შორის 21 სახელმძღვანელო და მონოგრაფია. მთელს საქართველოში თითქმის ყველა წამყვან უნივერსიტეტში საინვესტიციო საქმე და საბანკო საქმეში სწავლება მიმდინარეობს ლ. ქოქიაურის სახელმძღვანელოებით.

დღეს მისი წიგნების - „საინვესტიციო მენეჯმენტი და პოლიტიკა" და „ინტელექტუალური კაპიტალი" პრეზენტაციაა. თავს არ შეგაწყენთ თითოეული მათგანის შინაარსის დაწვრილებითი გადმოცემით, მაგრამ ხაზგასმით გამოვყოფ განსახილველ შრომების უაღრესად დიდ მნიშვნელობას.

პირველი მათგანი - „საინვესტიციო მენეჯმენტი და პოლიტიკა" პირველი სახელმძღვანელოა საქართველოში, სადაც ამომწურავად არის ახსნილი ინვესტიციების ტეორიული საფუძვლები; საინვესტიციო მენეჯმენტის არსი, მიზანი, ამოცანები და ფუნქციები; საინვესტიციო მენეჯმენტის უზრუნველყოფის სისტემების აგების მეთოდოლოგიური საფუძვლები; საინვესტიციო მენეჯმენტის მეთოდური ინსტრუმენტარიუმი; ინვესტიციები და მართვის თანამედროვე კონცეფციები; ინვესტიციური რესურსების ფორმირების მართვა; რეალური ინვესტიციების მართვა; ფინანსური ინვესტიციის მართვა; ინვესტიციების მართვა ინტელექტუალურ კაპიტალში; საინვესტიციო კანონმდებლობა. საინვესტიციო საქმიანობის სამართლებრივი რეჟიმი; სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზის საფუძვლები; კაპიტალი და ინვესტიციები. კაპიტალის ბაზრების ეკონომიკა; ინვესტიციური პოლიტიკის ფორმირების საკითხები; საწარმოს საინვესტიციო სტრატეგია; ფულადი ნაკადების მართვის ზოგადი საფუძვლები საინვესტიციო საქმიანობის პროცესში;

დღეს არ მეგულება ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებაში საინვესტიციო მენეჯმენტის არსის ფუნქციონირების მექანიზმის, სტრატეგიის, პოლიტიკის არცერთი ამგვარი ყოვლის მომცველი, სიღრმისეული გამოცემის ნაშრომი. ალბათ დამეთანხმებით, ლამარა ქოქიაურმა აღნიშნული წიგნით კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა, რომ მას ბადალი არ ჰყავს მთლიანად საინვესტიციო სფეროს კვლევაში.

რაც შეეხება მონოგრაფიის - „ინტელექტუალური კაპიტალი", აქაც ქალბატონი ლამარა ქოქიაური, გამოდის აღნიშნული საკითხის მეცნიერული კვლევის პიონერად.

მონოგრაფიაში განხილულია ინტელექტუალური კაპიტალის თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები, კერძოდ, ინტელექტუალური კაპიტალის, ინტელექტუალური პოტენციალის, ინტელექტუალური საკუთრების არსობრივი მახასიათებლები; განსაზღვრული და აღწერილია ინტელექტუალური კაპიტალის მართვის მექანიზმი; მოცემულია მეცნიერებატევად ბიზნესში ინტელექტუალური კაპიტალის დაგეგმვის, ორგა-

ნიზაციის, ფორმირების, განვითარების და რეალიზაციის პროცესის თავისებურებები.

აღნიშნულ თემაზე სხვა უცხოურ გამოცემებისაგან განსხვავებით ამ წიგნს აქვს მკვეთრად გამოხატული თეორიული და პრაქტიკული დანიშნულება: ავტორი კომპანიის მენეჯერებს და საერთოდ, მეცნიერ-მკვლევარებს არამატერიალური აქტივების შესაცნობად პრაქტიკულ ინსტრუმენტებს და მათი შეფასების ეფექტიანი განვითარების და გამოყენების მექანიზმებს სთავაზობს. მონოგრაფიის გამოცემით ქართულ ეკონომიკურ სივრცეში პირველი მოკრძალებული ნაბიჯი გადაიდგა ინტელექტუალური კაპიტალის კომერციალიზაციის პრობლემების შესწავლის მიმართულებიაც.

დასკვნის სახით შემიძლია მოგახსენოთ, რომ პროფესორი ლამარა ქოქიაური თავისი სწორი მეცნიერული ხედვით, არაჩვეულებრივი შრომისმოყვარეობით, ნიჭით და უნარით კვლავაც გაგვახარებს ჩვენ და მთლიანად ქართველ საზოგადოებას თავისი სახელმძღვანელოებით და მეცნიერული ნაშრომებით. ჩვენ წარმატებას ვუსურვებთ!

სიტყვით გამოვიდა ეკონიმიკის მეცნიერებათა დოქტორი, **პროფესორი გედევან ხელაია.** მოკლედ მიმოიხილა პროფესორ ლამარა ქოქიაურის შემოქმედებითი, პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობა. ხაზგასმით აღნიშნა, რომ მან შექმნა საინვესტიციო საქმის მთელი მიმართულება. სამი ათეული წლის განმავლობაში იგი აგროვებს, შეისწავლის, აანალიზებს, ქმნის, აქვეყნებს უზარმაზარ მასალას ინვესტიციების და ინვესტირების შესახებ. იგი არის თითქმის ორასი სამეცნიერო შრომის, მ.შ. 21 მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოს ავტორი;

ორივე დისერტაცია - 1986 წელს საკანდიდატო და 2003 წელს - სადოქტორო, მიუძღვნა საინვესტიციო სფეროს სხვადასხვა მიმართულების კვლევას.

ბატონმა გედევან ხელაიამ აღნიშნა, რომ მის თვალწინ გაიარა პროფესორ ლამარა ქოქიაურის მთელმა ცხოვრებამ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მან გაიარა მეცნიერის და პედაგოგის რთული და ძნელი გზა - ფინანსებისა და კრედიტის კათედრაზე - დაწყებული კათედრის დოქტორობიდან, მასწავლებლის, დოცენტის, პროფესორის წოდებამდე.

ძნელი და საპასუხისმგებლოა გერქვას აკადემიკოს ვასილ ჩანტლაძის მოწაფე. ქალბატონ ლამარაზე შეიძლება თამამად ითქვას, რომ იგი იყო და დღესაც თვლის თავს ბატონი ვასოს პირველ მოწაფედ.

რაც შეეხება დღევანდელი შრომების - „საინვესტიციო მენეჯმენტი და პოლიტიკა" და „ინტელექტუალური კაპიტალი" კოლოსალური შრომაა ჩადებული მათში. ალბათ არ გადავჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ ლამარა ქოქიაური დღეღამეში 14-16 საათამდე მუშაობს. დღეს მე არ მეგულება ქართველს ეკონომისტებში მეორე ამგვარი ფუტკარივით შრომისმოყვარე, მიზანმიმართული და ღრმა მეცნიერული ხედვის ქალბატონი.

სტუ პროფესორმა, „სოციალური ეკონომიკის „მთავარმა **რედაქტორმა ბატონმა ვახტანგ დათაშვილმა** თავის გამოსვლაში კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი პროფესორ ლამარა ქოქიაურის სწორ მიგნებას მეცნიერებაში. აღნიშნა, რომ ქალბატონი ლამარა საინვესტიციო სფეროს კვლევის პიონერია საქართველოში. მისი დღევანდელი შრომების „საინვესტიციო მენეჯმენტი და პოლიტიკა" და „ინტელექტუალური კაპიტალი" პრეზენტაციაც სწორედ ზემოთაღნიშნული გარემოების დადასტურებაა.

პროფესორი ლამარა ქოქიაური არის ნიუიორკის მეცნიერებათა და საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი, წამყვანი სამეცნიერო ჟურნალების რედაქციის წევრი, ინგლისურენოვანი ჟურნალის დამფუძნებელი, გამომცემელი და მთავარი რედაქტორი; მას პირველობა უყვარს და საქართველოში პირველმა დააფუძნა და აგერ 20 წელია ხელმძღვანელობს ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების კერძო სკოლას. რომელი ერთი ჩამოვთვალო.

დღეს ქალბატონი ლამარა ქოქიაურის შრომების პრეზენტაციაა და მას უნდა ვუსურვოთ შემდგომი წარმატება, წინსვლა, ახლა-ახალი მეცნიერული შრომები.

სასიხარულოა რომ ორივე განსახილველი ნაშრომი ასეთი დადებითი რეზონანსის მატარებელია.

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა სტუ სრულ **პროფესორმა ბატონმა გია მალაშხიამ** მოკლედ მიმოიხილა ქალბატონი ლამარა ქოქიაურის დიდი სამეცნიერო საქმიანობა. ხაზი გაუსვა მის უდუდეს შრომას. წარმატებისაკენ სწრაფვას, სწორ მეცნიერულ ხედვას. აღნიშნა რომ გაოცებას იწვევს ამ ალბატონის სქელტანიანი, მშვენიერი სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები.

განსაკუთრებით აღნიშნა სახელმძღვანელოს „ საინვესტიციო მენეჯმენტი და პოლიტიკის" მნიშვნელობა ქართველი სტუდენტებისათვის. ლ. ქოქიაურის მიერ დღევანდელი საუნივერსიტეტო პროგრამების შესაბამისად აგებული ეს წიგნი - სრულ და ამომწურავ ცოდნას აძლევს

სტუდენტებს საინვესტიციო სფეროში მენეჯმენტისა და პოლიტიკის შესახებ.

ეკონომიკის ექსპერტი, **პროფესორმა იური პაპასქუამ** აღნიშნა, რომ დღევანდელი შრომების პრეზერნტაცია კიდევ ერთხელ ადასტურებს ქალბატონი ლამარა ქოქიაურის უდიდეს შრომის მოყვარეობას, ნიჭიერებას, სიახლეების შესწავლისადმი სწრაფვას.

დღეს ქართველი ეკონომიკური საზოგადოება განებივრებულ არ ვართ ინტელექტუალურ სფეროში არსებულ შრომებით. თუ არ ჩვათვლით ინტელექტუალური საკუთრების და კანონმდებლობის კუთხით გამოქვეყნებულ რამოდენიმე შრომას, დღევანდელი განსახილეველი შრომა ინტელექტუალური კაპიტალის პირველი მონოგრაფიული მეცნიერული კვლევაა.

ბოლო ათი წლის განმავლობაში ჩვენ ინტელექტუალური კაპიტალისადმი ინტერესის მნიშვნელოვანი ზრდის მოწმე გავხდით. თანდათანობით ხდება იმ როლის გააზრება, რასაც იგი ასრულებს სხვადასხვა ორგანიზაციული ფორმების მქონე საწარმოთა ცხოვრებაში. ასევე თანდათანობით რწმუნდებიან იმაში, რომ ორგანიზაციები უნდა იმართოს სხვადასხვანაირად, გამოყენებული უნდა იქნას საქმიანობის შეფასების და ინფორმაციის მიწოდების ახალი მეთოდები.

ეხლახან ჩატარებული გამოკითხვის მონაცემების მიხედვით, რომელიც ჩაატარა Economist Intelligence Unit-ma Accenture-სათვის, ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს 94% თანახმაა გაერკვას ინტელექტუალური კაპიტალის და მართვის საკითხებში, გამოკითხულთა 50%-მა განაცხადა, რომ ინტელექტუალური კაპიტალის მართვა წარმოადგენს სამიდან ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ძნელად შესრულებულ ამოცანას მენეჯერისათვის, ხოლო 13%-მა განაცხადა, რომ ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა.

ამასთან, არ არსებობს რეალურად აღიარებული წესები და მოდელები ინტელექტუალური კაპიტალის მართვის და მისი გაზომვისათვის. წინამდებარე წიგნის მეშვეობით ავტორს სურს შევავსოთ ეს ხარვეზი და გაიზიაროს ინტელექტუალური კაპიტალის მართვის შესახებ ცოდნა და მნიშვნელოვანი გამოცდილება, ინტელექტუალური კაპიტალის გაზომვისა და შეფასების წესები.

ეს არის ინტელექტუალური კაპიტალის მეშვეობით კომპანიებსა და ორგანიზაციებში შექმნილი ფასეულობების გადიდების პრაქტიკული ღონისძიებებზე ორიენტირებული პირველი ქართული წიგნი. იგი პასუხობს მენეჯმენტის ცენტრალურ საკითხებს. კერძოდ, როგორ მოხდეს საჭირო რესურსებით გარანტირებული უზრუნველყოფა და მათი ეფექტიანი გამოყენება, რათა წარმატებით განხორციელდეს კომპანიის სტრატეგია. უფრო მეტიც, ავტორი ასაბუთებს, როგორ შეიძლება საიმედოდ გაიზომოს ინტელექტუალური კაპიტალის რესურსები და განისაზღვროს, როგორ

წარმოვიდგინოთ არაფინანსური ინფორმაცია. იგი ასევე ხსნის, თუ როგორ გამოვიყენოთ ინტელექტუალური კაპიტალის ცნებაზე ორიენტირებული აზროვნების ხერხი და ინსტრუმენტარიუმი, კომპანიათა შერწყმისა და შთანთქმისას, ცოდნის და ადამიანური რესურსების მართვა.

ეს წიგნი მოწოდებულია დაეხმაროს საქმიან ადამიანებსა და მენეჯერებს მართონ ინტელექტუალური რესურსები. თეორიული თვალსაზრისით წიგნი ემყარება შედარებით მნიშვნელოვან აკადემიურ პუბლიკაციებს ინტელექტუალური კაპიტალის მართვის სფეროში. ამასთან ერთად ეს წიგნი წარმოადგენს საქმიანი ლიტერატურის არსებით დამატებას ისეთი თემების მიხედვით, როგორიცაა სტრატეგია, მენეჯმენტი, აღრიცხვა და სხვა თემები.

ამ წიგნის მიზანია: ხელი შეუწყოს იმის აღქმას, თუ რას წარმოადგენს ინტელექტუალური კაპიტალი და მისი მართვა და როგორ შეიძლება ინტელექტუალური კაპიტალის მართვა ორგანიზაციაში პრაქტიკულად. მკითხველი გაეცნობა მყარ და სერიოზულ მასალას მთლიანად ინტელექტუალური კაპიტალის შესახებ, მათ შორის, ინტელექტუალური კაპიტალის სფეროში ორგანიზაციული სტრატეგიის შემუშავების ინსტრუმენტებსა და მეთოდებს. წიგნში განხილულია სხვადასხვა ტიპის კერძო, სახელმწიფო და მესამე სექტორის ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილება. ინტელექტუალური კაპიტალის თეორიის შემდგომში გამოყენების სადემონსტრაციოდ მოყვანილია პრაქტიკიდან მაგალითები, ცხრილები, დიაგრამები, მართვის სქემები.

მონოგრაფიაზე მრავალწლიანი მუშაობის შედეგები ავტორის მიერ ეტაპობრივად ქვეყნდებოდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მასალებსა და სტატიებში, მასალებს იყენებენ უმაღლესი სკოლების მაგისტრანტებსა და დოქტორანტებთან ჩატარებულ ლექციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებში.

ბატონმა იურიმ აღნიშნა, რომ პროფესორ ლამარა ქოქიაურის რამოდენიმე წიგნის პრეზენტაციას ესწრებოდა და დღესაც სიამოვნებით შეეცდება განსახილველ შრომაზე ცენტრალურ პრესაში რეცენზიის გამოქვეყნებას.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორმა გერმანე ფიფიამ შეკრებილებს მოახსენა ქალბატონი ლ. ქოქიაურის განსახილველი წიგნების უდიდეს მნიშვნელობაზე და მეცნიერულ ღირებულებებზე. ხაზგასმით აღნიშნა, რომ ავტორის თვითოეულ ნაშრომს აქვს როგორც საერთო მეცნიერული, ისე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა. საქართველოს უმრავლეს უნივერსიტეტებში სწორედ ამ ქალბატონის სახელმძღვანელოებით მიმდინარეობს ინვესტიციების სწავლება; ასევე ძალზედ მნიშვნელოვანია მისი შრომები საბანკო საქმეში, ფასიან ქაღალდებზე, ფულად ნაკადებზე.

ჩვენ ვულოცავთ და ვუსურვებთ პროფესორ ქალბატონს შემდგომ მეცნიერულ წარმატებებს.

წიგნების „საინვესტიციო მენეჯმენტი და პოლიტიკა" და „ინტელექტუალური კაპიტალის" ავტორმა, ქალბატონმა ლამარა ქოქიაურმა უღრმესი მადლობა გადაუხადა შეკრებილ საზოპგადოებას პრეზენტაციაზე მობრძანებისათვის. მან გაიხსენა ჯერ კიდევ 1973 წელი, როდესაც პირველი საკურსო ნაშრომი პროფესორ შოთა ქისტაურის ხელმძღვანელობით შეასრულა კაპიტალურ დაბანდებათა (ინვესტიციების) წყაროების თემაზე. აგერ უკვე 4 ათეული წელია ამ სფეროს სწავლობს მეცნიერის ცხოვრებაც ესაა - მრავალი წელი იკვლევს, იძიებს მასალებს, აანალიზებდს ბოლოს თავისი კვლევის შედეგები გადააქვს ქაღალდზე.

საინვესტიციო სფეროს კვლევამ მიგვიყვანა ინტელექტუალური კაპიტალის შესწავლამდე. ინვესტიციებს განვიხილავ რეალურ ინვესტიციებში (კაპიტალდაბანდებები), ფინანსურ ინვესტიციებში. დაისვა ინვესტიციების შესწავლის საკითხი ინტელექტუალურ კაპიტალში, რამაც განაპირობა ჩემს მიერ აღნიშნულ სფეროთი დაინტერესება.

ბოლოს ავღნიშნავ ყველაზე მნიშვნელოვანს ჩემთვის - მე თავს ყოველთვის ვთვლიდი აკადემიკოს ვასილ ჩანტლაძის მოწაფედ. მისგან ვისწავლე პედაგოგობაც, სიკეთის კეთებაც, წინსვლისაკენ სწრაფვა, შრომა... ყველას უღრმეს მადლობას მოგახსენებთ დღევანდელი ლამაზი და შინაარსიანი დღისათვის!

გმადლობთ!